



## ინტარვიუ რეპორტი

გვ. 2

### სიხლავი იზვიათი დაავადების კვლევასა და მკურნალობაში

გვ. 3



## განახლებული კლინიკა

გვ. 4



სრული განახლების შემდეგ გაიხსნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა, სადაც სიახლეა: 24 საათის განმავლობაში ინარმოებს მიღება ბავშვთა ყბა-სახის ქირურგიაში.

მისამართი: ლუბლიანას ქუჩა №21, ხუთსართულიანი კრემისფერი შენობა, მულტფილმების პერსონაჟებით მონატურული ღობით.  
ტელ.: 2528716; 2540697

**სამედიცინო გაზეთის რედაქცია:**  
ვაჟა-ფშაველას 33  
ოთახი 600  
ტ: 254-24-64  
რედაქტორი  
დალი ბაბაჟია  
ტ: 599 76 25 98;  
კორექტორები:  
მანანა ფხალაძე  
ტ: 555 29 98 27;  
დარეჯან კომლაძე  
ტ: 558 17 08 47;  
ნატო ბოლქვაძე  
ტ: 555 28 28 97  
ელ. ფოსტა:  
medgazeti@yahoo.com

## ახალი სიხლავი წიხი

# „სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტობა საკვალი“

ახალი სასწავლო წლის დაწყება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, ტრადიციულად, საზეიმოდ აღინიშნა.

26 სექტემბერს სამედიცინო ქალაქის ეზოში თსუ-ის ხელმძღვანელობა, სტუმრები, სტუდენტები შეიკრიბნენ. სტუდენტებს სიტყვით მიმართა და ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ვადაჭკორიამ: „მოგესალმებით 8 ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორიის მქონე, დღეს უკვე განახლებული, სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობის სახელით. თსუ-ის ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, სტუდენტობა, ჩვენი დიდი აკადემიური ოჯახის თითოეული წევრი, სრულად შეიგრძნობს საკუთარ როლს და

ეკიმის პროფესია ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის სამსახურს, საზოგადოების ცხოვრების ხარისხს გაუმჯობესებისთვის ზრუნვას ითვალისწინებს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეკიმების, სტომატოლოგების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების, ფარმაცევტების ყველაზე წარმატებულ წარმომადგენელთა დიდი ნაწილი დღეს სწორედ სამედიცინო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, რომლებიც თავიანთ პროფესიულ შესაძლებლობებს მუდმივად ავითარებენ და სრულად იყენებენ აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში.

ჩვენი უნივერსიტეტის საქმიანობის განმსაზღვრელი, ძირითადი სამოქმედო პრინციპი მთლიანად შეესატყვისება ევროპული საგანმანათლებლო

ის კუთხით: 2011 წელს საქართველოს უნივერსიტეტების მონაწილეობით ევროკავშირის საუნივერსიტეტო თანამშრომლობის ყველაზე პრესტიჟული პროგრამის – „ტემპუსის“ – მეოთხე საგრანტო კონკურსში 5 პროექტი დაფინანსდა, რომელთაგან ერთ-ერთია თსუ-ის მიერ შემუშავებული პროექტი: „დიპლომანტი სამედიცინო განათლების მოდერნი-

კმედება. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ცოდნა გაიღრმავონ სამ სტომატოლოგიურ კლინიკაში. დიპლომანტი და დიპლომის შემდგომი სწავლება ხორციელდება 150-ზე მეტ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელთაგან ბოლო 2 წლის მანძილზე გაფორმდა ხელშეკრულებები და მემორანდუმები. შემუშავდა და დაგეგმილია



პასუხისმგებლობას ცოდნაზე დაფუძნებული და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის საქმეში. ამიტომაც თსუ-ში სწავლება და სამედიცინო-პრაქტიკული საქმიანობა, ტრადიციულად, განუყოფელია. ჩვენი ერთობლივი მიზანი იყო, არის და იქნება სტუდენტების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად აღზრდა, რაც ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი ძალისხმევა, ძვირფასო სტუდენტებო, მიმართულია თქვენთვის ფუნდამენტური დარგობრივი და პროფესიული ცოდნის და გამოცდილების გადმოცემაზე.

თსუ-ის ადმინისტრაცია მომავალშიც, ისე როგორც გუშინ და დღეს, არ დაიშურებს მონაწილეობას და რესურსებს კლინიკური საქმიანობის ხელშეწყობისთვის, მით უფრო, რომ გასულ წელს უნივერსიტეტს, დაარსების 80 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ორი სამედიცინო კვლევითი კერა – სამედიცინო-ბიოტექნოლოგიის და აკადემიკოს იოველ ქუთათელაძის სახელობის ფარმაცო-ქიმიის ინსტიტუტები შემოუერთდა.

სისტემის მიდგომებს, მეტიც, იგი მნიშვნელოვანწილად თავად მონაწილეობს ამ მიდგომების შემუშავებაში. ჩვენ ევროპული საგანმანათლებლო სივრცის სრულყოფილებიანი წევრები ვართ და აქტიურ როლს ვასრულებთ ამ სისტემის ფუნქციონებაში, განვითარების მიმართულების განსაზღვრასა და რეალიზებაში, თავისუფალი და მჭიდრო სასწავლო-სამეცნიერო კონტაქტების ჩამოყალიბებაში საზღვარგარეთის ნამყვან სასწავლო, სამეცნიერო და კლინიკურ ცენტრებთან.

ბოლო პერიოდში ჩვენმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საქართველოში სამედიცინო განათლების ევროპული სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის თემატური ქსელის სამუშაო ჯგუფების აქტიური წევრია. მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ ახლახან კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში ჩვენი უნივერსიტეტის ინტეგრაცი-

იზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთით მიმდებარე ქვეყნებში“. პროექტის ფარგლებში ჩვენი პარტნიორები არიან მსოფლიოს 7 ქვეყნის უნივერსიტეტების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის პროექტმა სტუდენტთა მობილობის შესახებ მოიპოვა FRASMUS MUNDUS-ის დაფინანსება. პროექტი ოთხწლიანია და ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობის განვითარებას ევროპასა და კავკასიას შორის.

სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის საფუძვლებს ეზიარებთან ახალგაზრდები არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნიდან: დღეს მსოფლიოს 26 ქვეყნის დროშები ფრიალებენ სამედიცინო ქალაქის ეზოში და ჩვენს პატივისცემას უდასტურებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ამ ქვეყნებს წარმოადგენენ ჩვენს უნივერსიტეტში. მალე უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება და ეს ტენდენცია მომავალში არათუ შენარჩუნდება, არამედ გაძლიერდება კიდევ.

სამედიცინო განათლების ხარისხი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკური ბაზებით. მალე გაიხსნება მედიცინის თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად ალტერნატიული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ჟვანის სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა. უნივერსიტეტს გადმოეცა თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო, რომელიც სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ სრული დატვირთვით ამო-

საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ჩვენს ფრანგ და ამერიკელ კოლეგებთან ერთად.

თსუ-ში ყოველწლიური პირობაა შექმნილი სტუდენტთა შემოქმედებითი ნიჭის წარმოსაჩენად – უნივერსიტეტის სპორტის და ხელოვნების ცენტრის ბაზაზე არსებული ანსამბლები საყოველთაო პოპულარობით სარგებლობენ. ახლახან ანსამბლმა „ქართულმა ფოლკლორმა“ კიდევ ერთი აღიარება მოიპოვა ლონდონში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მას ფინალური გალა კონცერტის დახურვის პატივი ხვდა წილად. აღნიშვნის ღირსია, აგრეთვე, უნივერსიტეტის ბოლოდროინდელი მიღწევები სპორტში. ასე რომ, სამედიცინო უნივერსიტეტში საინტერესო და მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრება გელით.

მინდა განსაკუთრებულად მივესალმო და მივმართო პირველკურსელებს: ჩვენ ვაფასებთ თქვენს არჩევანს და გეტყვით, რომ **სტუდენტობა განსაკუთრებული პერსონა ჩვენს უნივერსიტეტში**. თქვენ, საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეულ წევრთან ერთად, უნივერსიტეტის დიდი აკადემიური ოჯახის სრულყოფილებიანი წევრები ბრძანდებით. გისურვებთ წარმატებებს ჩვენი ქვეყნის და უნივერსიტეტის სასახელოდ.

სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა, **ანდრია ურუშაძემ**; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგ-



# სიტყვა – საქმით

**რა გაკეთდა და შეიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მრავლისმომცველ ცხოვრებაში 2009 წლის სექტემბრიდან, რექტორად პროფესორ ზურაბ ჰაღაჭორიას არჩევის დროიდან, რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ თავად რექტორს:**



– ბატონო რექტორო, ჩვენი პირველი ინტერვიუ 2009 წლის სექტემბერში შედგა, როცა ახალარჩეული ბრძანდებოდით რექტორის თანამდებობაზე. მაშინ ჩემს შეკითხვაზე – რის გაუმჯობესებას ისურვებდით სამედიცინო უნივერსიტეტში – ბრძანეთ: პროფესიონალიზმისა და ხარისხის გაუმჯობესებას სწავლასა და სწავლებაში, კლინიკურ საქმიანობაში, სამედიცინო მუშაობასა და ინფრასტრუქტურაში.

ჩემი შეკითხვა, ასევე, ეხებოდა დიპლომამდელი განათლებისა და რეზიდენტთა დახელოვნების საკითხსაც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების მიხედვით, რაც, ძირითადად, მოიცავს დიპლომამდელი განათლების დიდი ნაწილის და, მთლიანად, რეზიდენტის დახელოვნებას საუნივერსიტეტო კლინიკურ ბაზებში. დროის ამ მცირე მონაკვეთში რამდენად განხორციელდა ეს სურვილები და რა მდგომარეობაა კლინიკური ბაზების მხრივ?

მოგესხენებათ, რომ კლინიკური ბაზების თვალსაზრისით უნივერსიტეტს პრობლემები მართლაც ჰქონდა, რის გამოც მივმართეთ საქართველოს მთავრობას. ჩვენი თხოვნა გათვალისწინებული იქნა და გადმოგვეცა თბილისის №4 კლინიკური საავადმყოფო და გ. ჟვანიას სახელობის ბავშვთა საავადმყოფოს მართვის ერთი ნაწილი, რომელმაც საქმიანობა დაიწყო მიმდინარე წლის 10 ოქტომბრიდან, როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურმა კლინიკამ. რაც შეეხება №4 კლინიკურ საავადმყოფოს, მისი ექსპლუატაცია შევაჩერეთ არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გამო და დავინყეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დამთავრდება 2013 წლის დასაწყისისთვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ა. ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო და 3 სტომატოლოგიური კლინიკა. ამასთან, უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში გავაფორმეთ ხელშეკრულებები და მემორანდუმები 150-ზე მეტ სამედიცინო დაწესებულებასთან, სადაც ხორციელდება როგორც დიპლომამდელი, ასევე, დიპლომისშემდგომი სწავლება.

– „განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა აკადემიური სწავლების ხარისხს. ჩვენი პირველი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნივერსიტეტის საგანმანათლე-

ბლო საქმიანობის სტანდარტების ამაღლების ხელშეწყობაა“, – ბრძანეთ თქვენ 2009 წლის სექტემბერში აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, მეცნიერებთან და წამყვანი კლინიკების ხელმძღვანელებთან გაფართოებული შეხვედრის დროს. რა თქმა უნდა, ამას დრო სჭირდება. რა გაკეთდა ამ თვალსაზრისით?

– ამ პოსტულატის, თუ გენებათ – ჩვენი ამ უპირველესი ამოცანის – აქტუალობა არათუ შემცირდა, პირიქით – გაიზარდა. ამის ძირითადი მიზეზი საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობის, ჩვენს კურსდამთავრებულთა წინაშე და ჩვენი საზოგადოების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხია.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა დეკლარირებული შედეგის მიღწევა საკუთრივ პროგრამის შინაარსით და მათი განხორციელების ეფექტურობით განისაზღვრება. სამედიცინო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი კონცეფციაა, მაგრამ სხვადასხვა ფაკულტეტსა და პროგრამაზე განათლების ხარისხის ინდიკატორების თუ პროცედურების შემუშავებისას, მიღებული შედეგების ანალიზის დროს ვითვალისწინებთ კონკრეტული პროგრამის სპეციფიკას და საჭიროებებს, მის შესაბამისობას საერთაშორისო თუ ეროვნულ დარგობრივ სტანდარტებთან.

სამედიცინო უნივერსიტეტი აქტიურად იყენებს სწავლების და კვლევის ხარისხის განვითარების ყველა შესაძლო შიდა თუ გარე მექანიზმს; ხაზგასმით აღვნიშნავ სტუდენტთა შეფასებების მასშტაბურ და სკრუპულოზურ კვლევას. სტუდენტთა შეფასებები, საჯაროდ განხილული და შეჯერებული სხვა, ასევე, სარწმუნო მახასიათებლებთან აკადემიური პროცესის დაგეგმვის და განხორციელების გაუმჯობესების სკენ მიმართული რეკომენდაციების საფუძველი ხდება.

ყოველივე ამას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ სამედიცინო უნივერსიტეტი არა მარტო ინტენსიურად და ქმედითად მუშაობს სამედიცინო განათლების ევროპული სტანდარტების დანერგვისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში, არამედ თავადაა ამ სტანდარტების შემუშავების აქტიური მონაწილე: სამედიცინო უნივერსიტეტი წერია ევროკომისიის მიერ დაფინანსებული თემატური ორგანიზაციის (MEDINE), რომელიც ევროპაში სა-

მედიცინო განათლების ძირითად მარეგულირებელ სტრუქტურას წარმოადგენს.

– ბატონო რექტორო, ისევ თქვენი სიტყვიდან: „ყოველმხრივ ვეცდებით, მოვიზიდოთ და შევინარჩუნოთ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ხელს შეუწყობთ მათ პროფესიულ განვითარებას, რისთვისაც სავანგებოდ შევიშუშავებთ და განვხორციელებთ მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების, ე.წ. განმანათლებელთა განათლების პროგრამას“. რა ხდება ამ მხრივ?

– ცხადია, აკადემიური პერსონალის მაღალი კომპეტენცია და პროფესიონალიზმი უნივერსიტეტში სწავლებისა და სწავლის ხარისხის უმნიშვნელოვანესი ნიშანია. ამა წლის დეკემბერში ჩვენს უნივერსიტეტში იწყება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტემპუსის სამწლიანი პროექტი – „დიპლომამდელი სამედიცინო განათლების მოდერნიზაცია ევროკავშირის აღმოსავლეთით მიმდებარე ქვეყნებში“, რომელიც მთლიანად ჩვენს უნივერსიტეტში იქნა შემუშავებული. პროექტში გაერთიანებულია 7 ქვეყნის (დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, ესპანეთის, იტალიის, საქართველოს, უკრაინისა და აზერბაიჯანის) 10 წამყვანი უნივერსიტეტი. 2012 წლის იანვარში ჩვენს უნივერსიტეტში ჩატარდება ამ პროექტის დაწყებისადმი მიძღვნილი მეტად წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის ბაზაზე აკადემიური პერსონალის გადამზადების ცენტრის შექმნას, პროფესორების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში, სამედიცინო განათლების თანამედროვე მეთოდოლოგიის ინტენსიურ სწავლებას, რომელიც განხორციელდება ევროპის სამედიცინო განათლების ასოციაციის (AMEE), სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) და MEDINE-ის ცნობილი ექსპერტების მიერ. პროექტის დასრულებისას ჩვენს უნივერსიტეტს ექნება აკადემიური პერსონალის გადამზადების ახალი სისტემა და კარგად აღჭურვილი გადამზადების ცენტრი, რომელიც განაგრძობს მუდმივ საქმიანობას.

– დაინერგა თუ არა სწავლებისა და შეფასების ახალი, თანამედროვე მეთოდები, რომლებიც ფაქტების ცოდნის გარდა, სტუდენტთა კლინიკური ჩვევების ათვისებასა და შეფასებას უზრუნველყოფს?

– მედიცინის დარგში პროფესიონალიზმის მისაღწევად მხოლოდ თეორიული ცოდნა საკმარისი არ არის. შესაბამისად, ძალიან დიდ ყურადღებას ვაქცევთ სტუდენტებში კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ამ მიზნით ჩვენთან ფუნქციობს კლინიკური უნარ-ჩვევების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სიმულატორებითა და მანეკენებით. იგეგმება მოდერნიზებული სიმულატორების და ელექტრონული სასწავლო პროგრამების შექმნა წამყვანი მწარმოებლებისგან. საყურადღებოა, რომ ლაბორატორია შექმნილია

არა მხოლოდ კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად, არამედ მათ შესაფასებლადც, რისთვისაც სტუდენტები აბარებენ ე.წ. OSCE-ს (ობიექტურად სტრუქტურირებულ კლინიკურ გამოცდას).

გარდა ზემოხსენებულისა, უნივერსიტეტში დანერგილია სწავლების ისეთი თანამედროვე მეთოდები, როგორებიცაა ინტერაქტიული ლექციები, შემთხვევაზე დაფუძნებული სამედიცინო და კომუნიკაციის უნარ-ჩვევების სწავლება. გარდა OSCE-ს, ზეპირი და ტესტური გამოცდებისა, სამედიცინო უნივერსიტეტში დაინერგება სტუდენტთა ცოდნისა და საქმიანობის ერთდროული შეფასება პორტფოლიოს საფუძველზე. უფროსკურსელების და რეზიდენტების ცოდნის და უნარების შესაფასებლად იგეგმება OSLER-ის (ობიექტურად სტრუქტურირებული ხანგრძლივი გამოცდა) და MiniCEX-ის („მინი“ კლინიკური ჩვევების შეფასება) გამოცდების დანერგვა, რომლის გამოყენება მხოლოდ ახლახან დაიწყო აშშ-სა და ევროპის წამყვან სამედიცინო სასწავლებლებში.

– ამოქმედებულია თუ არა ეთიკის კოდექსი, რომელიც ეხება უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა სფეროს – სწავლებას და სტუდენტთან, მასწავლებელთან, თანამშრომელთან და პაციენტთან ურთიერთობის წესებს?

– თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი დამტკიცებულია 2007 წლის ოქტომბერში. იგი მოქმედებს უნივერსიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

უმაღლესი განათლების კანონი უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ეთიკის კოდექსის ახალ ტექსტზე.

უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის კოდექსით დადგენილი პრინციპებია: დამოუკიდებლობა, ნდობა, პროფესიონალიზმი, საყოველთაო ღირებულებების პატივისცემა, სამართლიანობა, კონფიდენციალურობა და კანონიერება.

კოდექსის ცალკეული მუხლის მოთხოვნა ეხება უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების ვალდებულებებს, მათ შორის – თანამშრომლობისა და ურთიერთობის იურიდიულ და ეთიკურ ნორმებს სწავლების პროცესში. ამ მოთხოვნების შესრულება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის და ფაკულტეტების ხელმძღვანელობის მხრიდან მუდმივი მონიტორინგის საგანია.

ეთიკის კოდექსის აქტიური მოქმედების ერთ-ერთი მანიშნებელია უნივერსიტეტში დანერგილი აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვისა და სტუდენტებთან ურთიერთობის სტუდენტთა მიერ შეფასების საგანგებო წესი. ამდენად, ეთიკის კოდექსი ურთიერთპასუხისმგებლობის გარკვეულ ნორმებს ადგენს პერსონალსა და სტუდენტს შორის.

სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მიერ ეთიკის კოდექსით განსაზღვრული ვალდებულებების ზედმიწევნითი შესრულების მისაღწევად.

– კვლავ თქვენი სიტყვიდან: „კლინიკური ბაზების სიმცირე პრობლემას უქმნის არა მარტო სწავლების ხარისხს, არამედ აკრედიტაციის პროცესს“. რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

– სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლება, კვლევა და სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობა ერთიანი და განუყოფელია. კლინიკურ სპეციალობებში აკადემიური პროცესის მიმდინარეობის ხარისხი და ეფექტურობა პირდაპირ არის დამოკიდებული შესაბამისი კლინიკური ბაზის მზაობაზე სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. საუნივერსიტეტო კლინიკას სამედიცინო განათლების სისტემაში ალტერნატივა არ აქვს. ამ მხრივ უკანასკნელი პერიოდში სახეზეა უდავო პროგრესი: როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, ამოქმედდა გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკა; სტომატოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები კლინიკურ სწავლებას გადიან საუნივერსიტეტო სამ სტომატოლოგიურ კლინიკაში; ამჟამად კაპიტალურად რეკონსტრუირდება და 2013 წლისთვის თანამედროვე, მაღალი სტანდარტებით აღიჭურვება ა. ალადაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა; ამასთან, სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ქვეყნის 150-ზე მეტ კლინიკასთან დადებული მემორანდუმები თუ ხელშეკრულებები გვაძლევს იმის გარანტიას, რომ შეუფერხებლად წარიმართოს აკადემიური პროცესი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს მჭიდრო კონტაქტი აქვს უცხოეთის 60-ზე მეტ უნივერსიტეტთან და საუნივერსიტეტო კლინიკასთან, რაც საზაფხულო სკოლებისა და გაცვლითი პროგრამების მეშვეობით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლინიკური სწავლების ხარისხზე.

ეს გარემოებანი და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სხვა მდიდარი ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი გაითვალისწინა ავტორიზაციის საბჭომ, როდესაც 2011 წლის სექტემბერში ჩვენს უნივერსიტეტს ერთხმად მიანიჭა ავტორიზაცია; უნივერსიტეტში სტუდენტთა კოტა კი 8500-ით განისაზღვრა.

21 ოქტომბერს პროგრამული აკრედიტაცია წარმატებით გაიარა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 19-მა საგანმანათლებლო პროგრამამ, აქედან 2 ერთსაფეხურიანი, 5 საბაკალავრო, 10 სამაგისტრო და 2 სადოქტორო პროგრამაა. მინდა ყველას მივულოცო, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ პროგრამების მომზადებაში და განხორციელებაში — ეს ფრიად მნიშვნელოვანი წარმატება!

**დიდი მადლობა, ბატონო რექტორო, დიდხანს ილვანეთ თქვენი საქმიანობის თანამდევნი წარმატებებით!**

მომამზადა  
დალი გაბაშიაძე



ახალი სიხვედრები წლის ხუთხუთედი

1-ვერდიდან ილემ, გიგი წერეთელმა; საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის | მოადგილემ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, აკაკი სეფერთელაძემ; საქართველოს განათლების და მეცნიერების

ბლოგზე, რაც ეკისრება ყველა ახალგაზრდას, ვისაც წილად ხვდა პატივი სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი ერქვას; ასევე, ზოგადად, ექიმის როლსა და ახალგაზრდების თანამედროვე მოთხოვნების შესატყვის პროფესიონალებად ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე, იმ პრი-

ნისვლა და განვითარება კი მაღალი კვალიფიკაციის ექიმის გარეშე წარმოუდგენელია. სამედიცინო განათლება ყოველდღიურ სწავლას, შრომას, მონდომებას მოითხოვს. გვჯერა, თქვენ შეძლებთ ღირსეულად უპასუხოთ იმ გამოწვევებს, რაც XXI საუკუნის ექიმს ეკისრება, - აღნიშნა ბნმა მამუკა ქაცარავამ, თბილისის მერიის კულტურის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ინგლისურენოვანი სექტორის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ფელიქს ადენმა (ინდოეთი) და მარია კუმტაროვამ (სლოვაკეთი).

საზეიმო ცერემონილის დასასრულ სტუდენტები დალოცა საქართველოს საპატრიარქოს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, არქიმანდიტმა ადამმა (ახალაძემ), რომელიც ექიმის დანიშნულების ქრისტიანულ არსზე ესაუბრა სტუდენტებს: „ერთ-ერთი ყველაზე ძველი დევიზი,



აძლებლობების გამოყენებით სიკეთეს გაცემ და სიხარულს ანიჭებ ადამიანებს. გისურვებთ სწორედ ამგვარ ბედნიერებას და წარმატებებს მომავალ პროფესიულ საქმიანობაში“.

საზეიმო ცერემონილის შემდეგ სტუდენტებს ახალი სასაწავლო წლის დაწყება ფაკულტეტების დეკანებმა მიულოცეს.

გაიმართა საზეიმო კონცერტი თბილისის მერიის ბიგ-ბენდის მონაწილეობით, საღამოს კი სამედიცინო ქალაქმა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ კონცერტს უმასპინძლა, რომელიც სტუდენტურმა ჰიმნმა და საზეიმო ფორიერვერკმა დაასრულა.

ნატო ბოლქვაძე



მინისტრის მოადგილემ, ნოდარ სურგულაძემ, თბილისის მერიის კულტურისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა, მამუკა ქაცარავამ, ტოპოგრაფიული ანატომიის დეპარტამენტის ასოცირებულმა პროფესორმა, ელგუჯა ყიფიანმა.

გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს სამედიცინო უნივერსიტეტის დიდ ტრადიციებსა და იმ პასუხისმგე-

ორიტეტებსა და პერსპექტივებზე, რასაც ქვეყნის ჯანდაცვის და განათლების სისტემა ითვალისწინებს სამომავლოდ და რაშიც წამყვანი როლი კვალიფიციური კადრების აღზრდას ენიჭება: „სამედიცინო ინფრასტრუქტურის და ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით, რამდენიმე წელიწადში, ვფიქრობთ, საქართველო გაუტოლდება მსოფლიოს მონინავე ქვეყნებს. მედიცინის



ახალი სასაწავლო წლის დაწყება მიულოცეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, ევროპის სტუდენტ-მედიკოსთა ასოციაციის (EMSA) ჯანდაცვის დეპარტამენტის დირექტორმა გიგა სორდია; ასევე,



რომელიც ექიმებს ჰქონდათ, ჟღერს ასე: „სხვებს გავუნათებ და ამ ნათებაში დაეინფუზები“, რაც მოყვასის სიყვარულის მკაფიო გამოხატულებაა. ჭეშმარიტი ბედნიერებაა, როცა საკუთარი ცოდნის, განათლების და შეს-

ახალი გამოწვევები

იშვიათი დაავადებების მართვა

ძირძველი ქართული პედიატრიული სკოლის ღირსეული მემკვიდრე გახლავთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის ბავშვთა მედიცინის მიმართულების კოლექტივი. ტრადიციების სასახელოდ დაცვა-შენარჩუნებასთან ერთად, სიახლის გრძნობა აქ მკვეთრად შეიგრძნობა: მრავლად ჰყავთ სტუდენტები და რეზიდენტები (მათ შორის, უცხოენოვანი), დოქტორანტები, იკითხება ლექციები, ტარდება შემოვლები, კონფერენციები, გამოდის ახალი სახელმძღვანელოები (მათ შორის, ელექტრონული) - ყველაფერი ეს თანამშრომლების დიდი შრომის, თავგამოდების, მიზანმიმართული საქმიანობის შედეგია.

მიმართულების ხელმძღვანელის, სრული პროფესორის ყარამან (გია) ფალავას, ხელმძღვანელობით, წლების განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობს აქტიური საკვლევ-საგანმანათლებლო საქმიანობა, მათ შორის, იშვიათი დაავადებების გამოვლენის, შესწავლის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის ჩათვლით.

აღნიშნული თემის ირგვლივ სასაუბროდ, ჩვენთვის საინტერესო კითხვებით, მივმართეთ ბატონ ყარამანს და ვთხოვეთ მკითხველისთვის მოეთხრო ამ მიმართებით განუული საქმიანობის შესახებ.

– იშვიათ დაავადებებს სიცოცხლისთვის სახიფათო ან ჯანმრთელობის დამასუსტებელ ქრონიკულ დაავადებებს უწოდებენ და, თუმცა მათი რაოდენობა შედარებით დაბალია, მათი შესწავლა და მკურნალობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. თქვენი საქმიანობა „იშვიათი დაავადებების“ შესწავლის, კვლევის და მკურნალობის მხრივ თვალსაჩინოა. პრობლემა ნამდვილად მნიშვნელოვანია, რომლის მოგვარება საზოგადოების და მედიკოსთა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს.

ვადება აქვს. ავადობის სტრუქტურაში იდ-ის ხვედრითი წონა სარწმუნოდ მატულობს, განსაკუთრებით – განვითარებულ ქვეყნებში.

ამჟამად სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის მიმართულება აწარმოებს სპეციალურ კვლევას იშვიათი დაავადებების მართვის შესახებ. იგი მოიცავს როგორც საგანმანათლებლო, ასევე, კვლევით ნაწილს – სადიაგნოსტიკო-მათემატიკური მეთოდების გამოყენებას და კლინიკურ ნაწილს – ვსვამთ დიაგნოზს, ვუნიშნავთ მკურნალობას. ამ პრობლემის მნიშვნელობაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ საქართველოს პირველი ლედის, ქალბატონ სანდრა ელისაბედ რულოვის ძალისხმევით შეიქმნა იშვიათი

დაავადებების ალიანსი, როგორც ქოლგა ორგანიზაცია ამ დარგში მომუშავე ექიმებისა და მკვლევარებისთვის, მშობელთა და პაციენტთა გაერთიანებებისთვის. სიახლოვებით აღვნიშნავ, რომ ჩვენს კოლეგას, თსსუ-ის პედაგოგს, ექიმ-გასტროენტეროლოგს, ბატონ ხუტა პაჭკორიას, დიდი წვლილი აქვს შეტანილი და არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი ეკუთვნის



იშვიათ დაავადების შესახებ.

– ექიმები იშვიათ დაავადებებს ნაკლებად იცნობენ. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ისინი უფრო „მორჩილი გახდნენ“, ანუ მათი მკურნალობა გაცილებით შედეგიანი გახდეს?

– ექიმების მიერ სწორი დიაგნოზის დასმა ხშირად გვიანდება, ზოგჯერ საერთოდ ვერ ისმება. შესაბამისად, მკურნალობაც და დაავადებათა მართვა არ არის ადეკვატური და ეფექტური. ფარმაკოლოგიური ფირმებიც ამ მიმართებით ნაკლებად ინტერესდებიან იქნენ. აქცენტი მეტადაა გადატანილი ხშირ დაავადებებზე, რომელთა ირგვლივ იქმნება გაიდლაინები და პროტოკოლები. თუმცა საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ ითვალისწინებს სახელმწიფოს

ვალდებულებას – სამედიცინო დახმარება გაუწიოს ამ დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებს, კანონის ეს მუხლები სრულად ვერ სრულდება. ასე, რომ პრობლემა სერიოზულია და მის გადასაჭრელად აუცილებელი გზების ძიებაა საჭირო.

– რამდენად შეუწყობს ხელს თქვენი გუნდი პრობლემის მოგვარებისა და გადაჭრის გზების ძიებას.

– ბავშვებსა და მოზარდებში იშვიათი დაავადებების მართვის ოპტიმიზაციის თვალსაზრისით შევიმუშავეთ სამეცნიერო კვლევების ამოცანები, რაც ითვალისწინებს: სიტუაციურ ანალიზს, აქტუალური იშვიათი დაავადებების სიის შედგენას, ექიმებისა და სტუდენტ-მედიკოსების გათვითცნობიერების ხელშეწყობას, დიაგნოსტიკის და მკურნალობის ოპტიმიზაციას, მათემატიკური მოდელების და არამკაფიო ლოგიკის ელემენტების გამოყენებას, ეპიდემიოლოგიური კვლევას, საერთაშორისო თანამშრომლობას. შეიქმნა იდსაუნივერსიტეტო ცენტრი.

– უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობაც ალბათ ბევრ სიახლეს მოიტანს დაავადებათა სრულყოფილად შესწავლის და სწორი, შესაბამისი მკურნალობის დანიშვნის თვალსაზრისით.

– საერთაშორისო კვლევით პროექტებში ჩართვა მნიშვნელოვან სიახლეთა გაზიარებას გულისხმობს. აქტიური საერთაშორისო კავშირი და თანამშრომლობა გვაქვს მსოფლიოს სხვადასხვა სამედიცინო ცენტრთან, კერძოდ, მადრიდის იშვიათი დაავადებების ინსტიტუტთან, სომხეთის გენე-

ტიკური კვლევების ცენტრთან, იტალიის კლინიკური კვლევების და სალერნოს კომპიუტერულ მეცნიერებათა ცენტრებთან.

– ჩანს, ამ მხრივ საქართველოში მნიშვნელოვანი და სასიკეთო სიახლეები იგეგმება.

– სამომავლოდ ცენტრი გახდება არ მარტო აკადემიურ-საინფორმაციო, არამედ კლინიკურ-რეფერალურიც, რისთვისაც შეიქმნება სამკურნალო-სადიაგნოსტიკო „ბადე“, გაიზრდება საზოგადოების ინფორმაციულობა, შეიქმნება ქართულენოვანი ბიბლიოთეკა. მოკლედ, ყველაფერი კეთდება, რათა მოხდეს იშვიათი დაავადებების მართვის პოლიტიკის ევროპულ სტანდარტებთან მიხლოება (რეკომენდაციების შემუშავება). არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ოქტომბრის ბოლოს საქართველოში საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდება იშვიათ დაავადებებზე, მისი საპატიო პრეზიდენტი ქალბატონი სანდრა რულოვისია, ხოლო ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, თანაპრეზიდენტია.

– წარმატებები გვინდა გისურვოთ რთულ და საინტერესო საქმიანობაში. იმედები, რასაც ქართული საზოგადოებრიობა თქვენს გუნდზე ამყარებს, საერთო ძალისხმევით, ალბათ ასრულდება და მნიშვნელოვან სიტყვასაც იტყვით აღნიშნულ დაავადებათა კვლევის და მკურნალობის საქმეში.

ესაუბრა დარეჯან კომლაძე



საინჟინერო-ტექნიკური სწავლების

ახალი სასწავლო წელი განახლებული კლინიკით



ჰემატოლოგიური ანალიზატორი ლეიკოციტების 5 პარამეტრები...



სტუდენტური ქმედება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობაში შეიქმნა ახალი სამსახური...



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უკვე არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორი გახდა.



ტებს საჩუქრად გადასცა თავისი ნიგნები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, ოქტომბრის თვეში, სტუდენტებმა უნივერსიტეტთან არსებული ღვთისმშობლის ტაძრად მი-



ყვანების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. დეკანოზმა მიქაელმა დალოცა სტუდენტები და წარმატებები უსურვა მათ.



ამას წინათ კი ამ სამსახურის ეგიდით, ჩატარდა წამახალისებელი ფოტო-კონკურსი თემაზე - ჩემი მომავალი თეთრ ხალაში. კონკურსმა გამოავლინა გამარჯვებულები.

იმედია, ახალი წამოწყებული კიდევ არა ერთხელ გაალამაზებენ ისინი უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ახალი სასწავლო წელი მრავალფეროვნად დაიწყო: მთელი კვირის საზეიმო პროგრამა მოიცავდა პირველკურსელებთან საინტერესო შეხვედრებს, კონცერტს, პოეზიის საღამოს და მრავალ სხვა ღონისძიებას.



გვესაუბრება კლინიკის დირექტორი, მედიცინის დოქტორი, ქალბატონი ლია ძიძიგური: „კლინიკის სამომავლო გეგმები მრავალ ასპექტს მოიცავს. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად უნდა ვიღვაწოდოთ, არ ჩამოვრჩეთ დროის მოთხოვნებს და სიახლეებს.

ჩვენს საუნივერსიტეტო პედაგოგიურ კლინიკაში მოღვაწეობენ საუკეთესო ექიმები: პროფესორები ზურაბ ვადაჭკორია, ნუგზარ უბერი, ყარაიმან ფალავა, მანანა ფვანია, ნანა გელაძე, გურამ დავითაია, რამაზ კუტუბიძე, ნინო მანჯავიძე ... და სხვანი, ისინი წარმატებით წარმართავენ კლინიკურ საქმიანობას და სასწავლო პროცესს. სასიხარულოა, რომ ჩვენს უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესთან შერწყმული კლინიკური ბაზა, ესაა ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. სასწავლო პროცესის ჩასატარებლად მე-3 და მე-4 სართულზე განთავსებულია 9 ოთახი სტუდენტებისთვის. აქ სწავლებას გადიან მედიცინის ფაკულტეტის მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტები.

გმკურნალობთ 0-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვთა კონტინგენტს. კლინიკა 69 სასწავლო განყოფილება, აქედან 15 ადგილი კრიტიკული მედიცინის

სამსახურს ეკუთვნის, 6 საწოლი - ნეონატოლოგიური რეანიმაციის სამსახურს, 24 საწოლზეა განთავსებული ქირურგიული განყოფილება, 18 ადგილზე კი თერაპიული; 6 საწოლზეა ემერჯენსის სამსახური. ამ სამსახურებს ხელმძღვანელობენ: ხათუნა ლომოური, ეკატერინე უბერი, ფიქრია ლურსმანაშვილი, ნანა იაკობაშვილი, ავთანდილ კუტუბიძე. პირველ სართულზე მუშაობს ამბულატორია. სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით შექმნილ იქნა უახლესი სამედიცინო აპარატურა: ხელოვნური სუნთქვის(4), სანარკოზი(3) აპარატი, ქირურგიული პროფილის რამდენიმე ოპერაციაც უკვე წარმატებით ჩატარდა. კეთილმოწყობილია პალატები, გათვალისწინებულია დამატებითი გასაშლელი სავარძელი მშობლისათვის. შუა დერეფანში განთავსებულია ექთანის პოსტი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში სიახლეა - 24 საათის განმავლობაში ინარმოებს პაციენტთა მიღება ბავშვთა ყბა-სახის ქირურგიაში.

კლინიკის ლაბორატორია აღჭურვილია მსოფლიო ლიდერი კომპანიების მიერ წარმოებული ბოლო თაობის ანალიზატორებით.

აქ მაღალი ხარისხის რეაგენტებია, უზრუნველყოფილია კვლევის წარმოების ავტომატიზაცია, გამოკვლევის თანამედროვე მეთოდები, მაღალკვალიფიციური პერსონალის მიერ კი - მიღებული შედეგების სიზუსტე და მაღალი ხარისხია.

ლაბორატორიული აღჭურვილობა:



ჰემატოლოგიური ანალიზატორი mythic 22 orphee (შვეიცარია).




Table with 2 columns: Test Name and Result. Includes Glucose, Bilirubin, Ketone, Specific Gravity, pH, Protein, Urobilinogen, Nitrite, and Leukocytes.

ედს-ის განმსაზღვრელი ავტომატური აპარატი - Spinsed 12 ( ესპანეთი);

შარდის ავტომატური ანალიზატორი - Clinitek Status (აშშ)



ბიოქიმიური ავტომატური ანალიზატორი - Chemray 240 Automated Chemistry Analyzer (ჩინეთი)



იმუნოფერმენტული ანალიზატორი - HUMAREADER HS (გერმანია);

ნახევრად ავტომატური, პლანეტური იმუნოფერმენტული ანალიზატორი, ღია სისტემის ნებისმიერი მეთოდისა და სადიაგნოსტიკო ტესტების რეაქტივებისთვის, მიკროპროცესორი უზრუნველყოფს სხვადასხვა იმუნოფერმენტული მეთოდის გამოყენებას.



COMBIWASH (გერმანია)

პროგრამირებადი, ავტომატური კომბინირებული - გამ-

რეცხი, სანჯღრეველა და თერმოსტატი-მონწყობილობა 96 ფოსოიანი პლანეტის სრული ან ცალკეული სტრიპების რეცხვის შესაძლებლობით.



კოაგულომეტრი - ნახევრად ავტომატური ანალიზატორი -HUMACLOT DUO Plus (გერმანია)

მანუალური, ორარხიანი, ფოტო-ოპტიკური აპარატი-კოაგულაციური, ქრომოგენული, იმუნოტურბიდომეტრიული ტესტირებისთვის, ჩამონტაჟებული თერმული პრინტირით, ინკუბატორით და ვარიანტული ელექტროპიპეტით.

სისხლის გაზებისა და ელექტროლიტებისთვის ავტომატური ანალიზატორი - EasyStar (აშშ), PH Na, K, Ca, PCO, PO2, Hct.

ლაბორატორია გათავაზობთ 200-მდე სახეობის კვლევის ჩატარებას შემდეგი მიმართულებებით: ძირითადი კლინიკური კვლევები, ბიოქიმია, სეროლოგია, იმუნოლოგია, ჰემოსტაზიოლოგია, ბაქტერიოლოგია, მჟავა-ტუტოვანი ნონასწორობა.



კლინიკის ფინანსურმა დირექტორმა ბატონმა ლაშა აბესაძემ აღნიშნა: „სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის გივი ფვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქ მომუშავე ექიმებს და სტუდენტებს საუკეთესო პირობებს სთავაზობს წარმატებული საქმიანობის, პედაგოგიური, სასწავლო, სამეცნიერო მოღვაწეობისთვის.“

მოამზადა მანანა ფხალაძემ



*შემოქმედი სტუდენტები*

# „ეკიოზა ჩემი მონოლოგა“

საქმიანობას და აქტიური სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობს.

დაგვეთანხმებით, ცოტა არ არის, თუმცა უფრო უკეთ ალბათ თავად გვეტყვის. მაშ ასე, გავიცნოთ გიორგი ჩანგაშვილი, მედიცინის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

– გიორგი როდის დაიწყე წერა, ხატვა, დაკვრა... გვიამბე შენს შესახებ...

ლექსების წერა და ხატვა ადრეული, ჯერ კიდევ 4 წლის, ასაკიდან დაიწყე, ხოლო მუსიკის შესწავლა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ჩავაბარე ზ. ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლაში ხალხური საკრავების განხრით.

2001-2002 წლებში პირველად ჩატარდა საქართველოში მსოფლიოს ბავშვთა პირველი დელფიად. კულტურის სამინისტროს მიერ შერჩეული სურათები გამოიფინა სამხატვრო აკადემიაში, სადაც ჩეხეთის ელჩიც ესწრებოდა და ნამუშევრები გაიგზავნა ჩეხეთში, ქალაქ ლიდიცეში. ამ გამოფენამ სახელწოდებით „ლიდიცე 2001-2002“ მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საბავშვო საგამოფენო დარბაზები, გამოიცა კატალოგი, სადაც შევიდა ჩემი ნამუშევრებიც. 2000-2005 წლებში მოეწყო ჩემი 3 პერსონალური გამოფენა თბილისსა და თელავში. სხვადასხვა პერიოდში ჩემი ნახატები წარმოდგენილი იყო გამოფენებზე ერევანში, მოსკოვში, ჟენევაში, თეირანში. 2000 წელს გავხდი თბილისის მერიის სტიპენდიანი. 2001 წელს მივიღე მონაწილეობა კონკურსში „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიის და გრანტების მოსაპოვებლად“. კონკურსი წარმატებით გავიარე და გავხდი პრეზიდენტის სტიპენდიანი.

პერიოდულად ვიღებდი მონაწილეობას სხვადასხვა სახის კონკურსებსა თუ გამოფენებში.

სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ვსწავლობ ე. ვირსალაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ფლეიტის განხრით.

ვცდილობ აქტიურად ჩავერთო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტურ ცხოვრებაში. ხშირად ვღებულობ მონაწილეობას კონცერტებსა თუ სამხატვრო გამოფენებში. უნივერსიტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე, თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის ფოიეში, ხელოვან ექიმთა ნამუშევრებთან ერთად, ჩემი რამდენიმე ნამუშევარიც იყო წარმოდგენილი.

– შენი ინტერესები მრავალმხრივია. ყველაზე უკეთ სადა ახერხებ თვითგამოხატვას?

– ყველაფერი, რასაც ვაკეთებ, ჩემთვის ერთნაირად საინტერესოა. მნიშვნელოვანია განწყობა, რაც შემოქმედებაზეც აისახება. ამჟამინდელ მდგომარეობას უფრო ძიების პროცესს დავარქმევდი. ალბათ მალე დადგება ჩემს ცხოვრებაში

ეტაპი, როცა ჩამოვყალიბდები და ის სფეროც გამოიკვეთება, რომლის საშუალებითაც უკეთ ვიტყვი სათქმელს.

– შემოქმედისთვის თავისუფლებისკენ სწრაფვა ყოველ დროსა თუ ეპოქაში აქტუალურია. შენს სამყაროშიც შესამჩნევია – ცდილობ „გაქცე“ ჩარჩოებს. ავტორიტეტების მიმართ შენი დამოკიდებულება როგორ



რია და არსებობს თუ არა ადამიანი, ვინც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა შენი ცნობიერების, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე?

– ავტორიტეტების მიმართ ჩემი დამოკიდებულება ნამდვილად არ არის უარყოფითი. პირიქით, მიმაჩნია, რომ ისინი ყოველთვის გვასწავლიან და გავიძლებენ უკეთესისკენ. სხვა საკითხია, რამდენად შეძლებ „აიღო“ აქედან შენთვის საჭირო, აუცილებელი და მხოლოდ საკუთარი, ინდივიდუალური გზით იარო. ეს უკვე ადამიანის ნიჭიერების ხარისხსა და ძალისხმევაზე დამოკიდებულია.

ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში დიდი ზეგავლენა მოახდინა პაპაჩემმა, რომელიც გახლდათ მეცნიერი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი, მრავალი ნაშრომის და მონოგრაფიის ავტორი – გიორგი ჩანგაშვილი.

ბედნიერი ვარ, რომ ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთან მომიხდა შეხება და ამ გზაზე ბევრი კარგი პედაგოგი და ხელოვანი გავიცანი, რომელთა დახმარებით მომიხდა პირველი ნაბიჯების გადადგმა. განსაკუთრებულად გავიხსენებდი გამოჩენილ მხატვრებს: ზურაბ ნიჟარაძეს და გიორგი გეგეჭკორს, ჩემს პედაგოგებს იური და ბორის სკრინიკოვებს, ხალხურ საკრავებში – ალექსი ხიზანიშვილს, ფორტეპიანოში – გულიკო აფხაიძეს, ფლეიტაში – ანა ლომთაძეს. ეს ადამიანები იყვნენ ჩემი პირველი შემფასებლები და აღმზრდელები.

– შეგეძლო პროფესიული არჩევანი ხელოვნების ამა თუ იმ სფეროსთან დაგვეკავშირებინა, თუმცა მედიცინა აირჩიე. რატომ?

– უპირველეს ყოვლისა ვიტყვი, რომ სამედიცინო სფერო ჩემთვის უცხო არ იყო იმ თვალსაზრისით, რომ ჩემთვის უახლოესი ადამიანები – ბებია,

დედეები, მამიდა – ამ სფეროში მოღვაწეობენ. თუმცა მთავარი ალბათ ისაა, რომ ვგრძნობ – ექიმობა ჩემი მონოლოგაა. ეს შეხედულება კიდევ უფრო განმამტკიცა გასულ ზაფხულს რესპუბლიკური საავადმყოფოს შოკის განყოფილებაში მიღებულმა პრაქტიკამ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში, იმაში, რომ არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. კარგად ვიცი, ეს პირდაპირკავშირშია ექიმის კომპეტენციასა და მალ-

ალკვალიფიციურობასთან, რაც დიდ შრომას და მონდომებას მოითხოვს.

– რამდენადაც ვიცით, დიდა შენი ინტერესი სამედიცინო მეცნიერებისადმი. უფრო კონკრეტულად ამის შესახებ...

– ფიქრობ, ძალიან საინტერესოა კვლევითი მუშაობა, მეცნიერული აღმოჩენები. დაინტერესებული ვარ ადამიანის ღეროვანი უჯრედებით. ჩემი უახლოესი გეგმებიც სწორედ ამ თემაზე სამეცნიერო კონფერენციის მოწყობას უკავშირდება. იმედია, საინტერესო დასაწყისი იქნება მეცნიერებაში...

გვეჯერა, საინტერესო და საწყისიც შედგება და მისი ცხოვრებისეული გზაც, ხატოვანად რომ ვთქვათ, წარმატებული ნაბიჯებით იქნება აღბეჭდილი. ამ გზაზე, ცხოვრების კანონზომიერების გათვალისწინებით, იქნება „ზიგზაგებიც“ და სირთულეებიც, თუმცა შინაგანი სწრაფვა სიკეთისკენ, თვალშეუდგამი რწმენა და ოპტიმიზმი, მთელს მის შემოქმედებას რომ გასდევს და ასაზრდოებს, მუდმივად თან დაჰყვება და დაეხმარება მომავალში.

იმ ურიცხვ შთაბეჭდილებათა შორის, რასაც გიორგის პიროვნების და შემოქმედების შესახებ გავეცანით, ჩვენი ყურადღება მისი გერმანული ენის მასწავლებლის, იუტა ჰებელერის, სიტყვებმა მიიქცია, რომელიც ბერტოლდ ბრეხტის ცნობილ გამონათქვამს – „შეცვალე მსოფლიო, მას ეს სჭირდება!“ – შეახსენებს გიორგის და ეჭვიც არ ეპარება, რომ ჩვენი რესპოდენტი ერთი იმათგანია, ვინც თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლაში. ამაზე დიდი შეფასება ძნელად წარმოსადგენია, თუმცა შემოქმედის მისიაც ხომ სწორედ ეს არის...

ნატო ბოლქვაძე



ჩვენი გაზეთის საშუალებით ყოველთვის ვცდილობთ გაგაცნოთ შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდები, რომლებიც სამედიცინო უნივერსიტეტში მუდამ მრავლად იყვნენ და სასიხარულოა, რომ ასეა დღესაც.

სტუდენტი, რომლის შესახებაც ახლა ვიამბობთ, მართლაც მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეულია: წერს ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, უკრავს, ხატავს და ახერხებს ინდივიდუალური ხედვით თუ ხელნერით მიიქციოს ყურადღება. მოკლედ, შემოქმედა.

მარტო მისი შემოქმედებითი მიღწევების ჩამონათვალს გაზეთის ერთი გვერდიც ვერ დაიტევს: დიპლომები, სიგელები, სერტიფიკატები, პერსონალური გამოფენები, რეცენზიები თუ პუბლიკაციები პრესაში...

პირველი პოეტური შედარებები 4 წლის ასაკში გამოთქვა. მაგალითად, ასეთი: „გავშლი ხელებს და დავხატავ წითელ ფერებს“, ან „ცაზე აზიდული მზის

ნაწნაეები მოჩანდა მიიდან ფერად ფერებში“. 2007 წელს გამოცემულ ბავშვთა ლექსების ანთოლოგიაში მისი ლექსებიც შევიდა, ისევე, როგორც სხვადასხვა დროს გამოცემულ კატალოგებში – მისი ფერწერული ნამუშევრები. 2001 წელს პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა. უკვე მრავლისმთქმელია იმ ადამიანთა ჩამონათვალიც, ვინც რეკომენდაცია გაუწიეს მას: ცნობილი მხატვრები: ზურაბ ნიჟარაძე და გიორგი გეგეჭკორი, ბავშვთა სამხატვრო გალერეის დირექტორი, ლია გორგაძე, ასევე, გაზეთ „ნერგის“ რედაქცია და საქართველოს მწერალთა კავშირი. მის ნახატებს გაეცნენ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში საერთაშორისო გამოფენებზე. მის შემოქმედებით საქმიანობას უყურადღებოდ არ ტოვებდა პრესა და ტელევიზია.

დღეს გიორგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლობს 100%-იანი საგრანტო დაფინანსებით, აგრძელებს შემოქმედებით



გ. ჩანგაშვილის ნამუშევრები



ჩვენი რეკონსტრუქცია

ჯანსაღი კვება – სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩატარდა კონფერენცია – „ჯანსაღი კვება ჯანმრთელობის საწინდარია“.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, ირაკლი გიორგობიანი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი, ნუგზარ ჩიტაია.

მსმენელთა წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარდგინეს პროფესორები: ქეთევან ნემსაძე, გიორგი ჩახუნაშვილი, დავით (შალვა) ზარნაძე, გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მარინე გიორგობიანი, ასევე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის და რისკის ანალიზის სამმართველოს უფროსი, ქეთევან ლაფერაშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, ექიმი გიორგი მიქაძე.

თანამედროვე მსოფლიოში ჯანსაღი კვების დამკვიდრებისთვის, არაერთი საერთაშორისო რეკომენდაციის საფუძველზე, ინტენსიურად იქმნება სპეციალური პროგრამები და სარეკომენდაციო დოკუმენტები. ამასთან, კვებითი ქცევის რეგულირებაში საზოგადოების აქტიურმა მონაწილეობამ რიგ ქვეყნებს გაუუმჯობესა ჯანმრთელობის მაჩვენებელი.

სადღესოდ საქართველოში კვების ძირითადი პრობლემა: კვებითი დეფიციტი, საკვების არაადეკვატური გამოყენება, კვების ერთფეროვნება, ჭარბი ნონა, პროდუქტების დაბალი კვებითი ღირებულება, გენმოდულიციური საკვები პროდუქტების გამოყენება.

კონფერენციის მონაწილეებს ვთხოვეთ თავიანთი აზრი გამოეთქვათ აღნიშნული საკითხების ირგვლივ.

პროფესორი ქეთევან ნემ-

**საძე:** ჯანსაღი კვება ნებისმიერი ასაკისთვის მნიშვნელოვანია, ბავშვთა ასაკში კი სასიცოცხლო ფუნქციას იძენს, რადგან კვების პრობლემებთან დაკავშირებით შეიძლება შეჩერდეს ზრდა-განვითარება, განვითარდეს ქცევითი პათოლოგიები და ა.შ. საქართველოში მიღებული კანონი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო კოდექსს – „ქალის რძის შემცველების აგრესიული მარკეტინგის შესახებ“, რითაც დაცულია ძუძუთი კვება ხელოვნური საკვების მწარმოებელი კომპანიებისა და მათი აგრესიული მარკეტინგისგან – ბავშვთა საკვები, რომელიც ჩვენთან შემოდის, საერთაშორისო სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს და იმ შემთხვევაში, თუ ბუნებრივი კვება შეუძლებელია, რძის შემცველები უნდა იყოს ადეკვატური და ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი: ამჟამად ჩემი საქმიანობა დაკავშირებულია ჯანმრთელ ბავშვებში პრევენციული ღონისძიებების გატარებასთან, კერძოდ, სპორტსმენ, ასევე, სამოყვარულო სპორტში ჩართულ ბავშვთა კვების მართვის პრობლემებთან. საქართველოს პარლამენტში ჩვენი თავმჯდომარეობით მუშაობს ქვეკომისია, რომელიც განიხილავს ბავშვთა კვების, კერძოდ, კვების ჰიგიენის საკითხებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ამ მხრივ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პრობლემა დგას: როდესაც ბავშვს ადეკვატური საკვები არ აქვს, ანუ აკლია ვიტამინები და მინერალები, ასევე, უმნიშვნელოვანესია სიმსუქნის პრობლემა. მედიკოსებმა საჭიროა, ვიპოვოთ ოქროს შუალედი, როცა ბავშვს უნდა მიენდოს მისთვის აუცილებელი კალორია – ჯანსაღი თაობის აღზრდაში უმნიშვნელოვანესი კვების რაციონის დაცვაა. პედიატრიის მომავალი პრევენციული მედიცინაა. გამოცდილი პედიატრი – თანამედროვე ხედვით, აი, ამგვარი სპეციალისტები გჭკვრდება დღეს. თანამედროვეობას ფეხი უნდა აუწყოთ, ახლა სხვა დრო და მოთხოვნებია.

პროფესორი დავით ზარნაძე: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა კიდევ ერთხელ უმასპინძლა უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას. საზოგადოების ყველა ფენისთვის ერთმნიშვნელოვნად საინტერესო და აუცილებელია უსაფრთხო კვება და სურსათთან დაკავშირებული საკითხების

მეცნიერულად გადანყვება. წარმოდგენილია სერიოზულმა ექსპერტებმა მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. დღეს მსოფლიოს წინაშე ორი უდიდესი გამოწვევა დგას – ეს არის კლიმატის გლობალური ცვლილება და ბიოტერორიზმი. მთავარი დარტყმა სურსათზე და კვების პროდუქტებზე მოდის. კლიმატის გლობალური ცვლილებები ძალიან სერიოზულ პრობლემატიკას იწვევს. ბიოტერორიზმი ესაა ყველაზე დიდი საშიშროება, რომელიც 21-ე საუკუნის მოსახლეობის წინაშე დგას და ვინ, თუ არა ახალგაზრდებმა, უნდა იმსჯელონ ამ საკითხებზე და მიიღონ ის კონკრეტული გადანყვებითი ზომები, რომლის მიხედვითაც განახორციელებენ თავიანთ ქმედებებს. ახალგაზრდობა დიდი ძალაა და თუ მათ ეს მოისურვებს, ყველაფერი მაღალ დონეზე განხორციელდება. დღევანდელი კონფერენცია სწორედ ამის დასტურია.

პროფესორი მარინე გიორგობიანი: ჯანსაღი კვების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წყალი წარმოადგენს. სასმელი წყლის სანიტარიულ-ჰიგიენურ და სამედიცინო ეკოლოგიურ მაჩვენებლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობის ფორმირებაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასმელი და სარეაქტივო წყლის ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ მაჩვენებლებს, რომლებიც განსაზღვრავს ინფექციური თუ არაინფექციური ბუნების დაავადებათა გავრცელების რისკებს მოსახლეობაში. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ტარდება კვლევები სასმელი, სარეაქტივო და ნახშირი წყლების ბიოუსაფრთხოების რისკების შეფასების მიზნით. ჩატარებული კვლევების საფუძველზე ხდება პრევენციული ღონისძიებების შემუშავება, რაც თავიდან აგვაცილებს წყლისმიერი პათოლოგიების გავრცელებას მოსახლეობაში.

ჯანსაღი კვებასთან დაკავშირებულმა უმნიშვნელოვანესმა პრობლემებმა დღესდღეობით სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. სახელმწიფოში კვების პოლიტიკის განსაზღვრა საზოგადოებისაგან, სამთავრობო სტრუქტურებისგან, სამედიცინო სამყაროსგან უცილობელ ჩარევას, კონკრეტულ და დაუყოვნებლივ ქმედებებს ითხოვს – სწრაფად უნდა მოხდეს შესაბამისი კანონების მიღება და მისი ცხოვრებაში გატარება, ჩვენი და მომავალი თაობა დაცული უნდა იქნას ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხისგან, ეკოლოგიურად არაჯანსაღი პროდუქტების მიღების და მისგან გამოწვეული ათასი გართულებისგან. ბიოტერორიზმი მსოფლიოს გამანადგურებელ დარტყმას აყენებს, რომლისგან თავდაცვა არა მარტო აუცილებელი, სავალდებულოცაა.

დარეჯან კომლაძე

წარმოქმნილი ვასწროკები

მოავალი ექიმები მსოფლიო ფესტივალზე

ლონდონის ფესტივალზე, რომელიც იუნესკოს ეგიდით ტარდებოდა, მონაწილეობა მსოფლიოს 26 ქვეყანა ევროპიდან, ლათინური ამერიკიდან, აფრიკიდან, აზიიდან და ატლანტის ოკეანის კუნძულებიდან, კერძოდ, წარმოდგენილი იყვნენ კოლექტივები შემდეგი ქვეყნებიდან: ინგლისი, ბელორუსია, საბერძნეთი, კორეა, პორტუგალია, უნგრეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, სერბეთი, პარაგვაი, სლოვაკეთი, ტაიტი, მადეირა, პერუ, იტალია, ბელგია, საფრანგეთი, კოსტა-რიკა, ბურკინა ფასო, ლიტვა, ფილიპინები, შვეიცარია, გერმანია და ჰოლანდია.

თითოეულ ქვეყანას თავიანთი აღიარებული კოლექტივები ჰყავდა წარმოდგენილი. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლის

ბი – „ქართული“ და „ნარნარი“ – აღიარებულ იქნა გალა-კონცერტის წარმატებულ ნომრებზე.

ამ ფესტივალზე ქართული ანსამბლის ნევრებმა თავი გამოიჩინეს არა მარტო თავიანთი შესანიშნავი გამოსვლებით, არამედ, როგორც პროფესიონალმა მედიკოსებმა, კერძოდ, 5 აგვისტოს, როდესაც ფესტივალის 400 სტუმარი სადილად იყო შეკრებილი, ერთ-ერთი იქაური თანამშრომელი შეუძლოდ გახდა – იგი, დიაბეტურ კოლაფსში და კრუნჩხვებში მყოფი, სიკვდილს ებრძოდა. იქაური კანონებით, სასწრაფოს მოსვლამდე, არავის აქვს ავადმყოფთან მიახლოების უფლება, მით უმეტეს, არასპეციალისტებს, მაგრამ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, ანსამბლის ექიმის, ქალბატონი ეთერ მაჭავარიანის, თაოსნობით, მყისვე აღმოჩნდ-



წარმატებულმა გამოსვლამ, მაყურებელი და ინგლისელი, ბელორუსი, ფრანგი და ბელგიელი ქორეოგრაფები იმდენად მოხიბლა, რომ მათი გადანყვებით, ანსამბლმა ფესტივალის გალა-ცერემონიალების დახურვის საპატიო უფლება მოიპოვა.

ბელორუსი ქორეოგრაფი, ბელორუსიის სახალხო არტისტი, ანატოლი ვორობიოვი, რომელიც ბელორუსიის ანსამბლს ხელმძღვანელობდა და ერთ დროს დიდი ქორეოგრაფის, იგორ მოიხევიის, ასისტენტიც გახლდათ, იყო პირველი, ვინც უმაღლესი შეფასება მისცა ქართული ანსამბლის გამოსვლებს და მათი ხელმძღვანელის – სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის მოადგილის, ეროვნული და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის, საქართველოს ქორეოგრაფ მოლვანთა კავშირის პრეზიდენტის ნეერის, ბატონი ბადრი მაჭავარიანის, შემოქმედებით საქმიანობას.

სამედიცინო უნივერსიტეტის ანსამბლი დასახელოდა როგორც მთავარი რგოლი ამ უმნიშვნელოვანესი კონცერტისა და მის მიერ წარმოდგენილი ცეკვე-

ნენ დაზარალებულთან და სასწრაფო დახმარების მოსვლამდე შეძლეს უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილის კოლაფსიდან გამოყვანა. ამ ფაქტმა იქ დამსწრე უცხოეთის დელეგაციების ნევრთა და ინგლისელი საზოგადოების აღფრთოვანება დაიმსახურა. ინგლისურმა პრესამ რამდენჯერმე აღნიშნა კიდევ ამ ფაქტის შესახებ სხვადასხვა გაზეთში, ხოლო პაციენტის ოჯახის ნევრები, მაღლონის ნიშნად, გვერდიდან აღარ შორდებოდნენ ქალბატონ ეთერ მაჭავარიანს და ანსამბლის ნევრებს. ერთი სიტყვით, ქართულმა კოლექტივმა საუკეთესოდ წარადგინა ქართული ხალხური კულტურა, ასევე, თავიანთი პროფესიონალიზმისა და სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის.

ინგლისში, 2 აგვისტოდან 13 აგვისტოს ჩათვლით, ანსამბლმა 12 კონცერტი გამართა, კერძოდ, გამოვიდნენ ქალაქ ბლინგემში, სტოქსტოლმში, მილდსბროში, ლონდონსა და ნიუკასლში.

16 აგვისტოს ქართველმა ხელოვანებმა ბორანით გადაკვეთეს ლა-მანში და საფრან-



წარმოქმნილი გზები

სახელოვანი იუბილეო

მისი ცხოვრება მავალითა „ანაქოსთის კეთილი ნაქოსის“

მე-6 გვერდიდან გეთმი გადავიდნენ, სადაც მათ ელოდნენ ბელგიის საერთა-მორის ფოლკლორული ფესტივალის ორგანიზატორები. 16 აგვისტოდან 22 აგვისტოს ჩათვლით საფესტივალო წარმოდგენები გაიმართა ბელგიის ქალაქებში: დენდერმონდებში და ჟამბერ-ნამურში, სადაც ანსამბლმა დიდ წარმატებას მი-აღწია და იქვე მიიღო მინვერები სხვადასხვა ქვეყნიდან.

მეუხარე აპლოდისმენტებს წინ ვერაფერი დაუდგა და ჩვენმა მემსრულებლებმა რამდენ-ჯერმე შეასრულეს მათეობის დაყინებული თხოვნა. ერთ-ერთი კონცერტის დასრულების შემდეგ კი, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების გამოსვლებით აღფრთოვანებულმა მათეობელმა, მოითხოვა ქართული გოგო-ბიჭების სცენაზე დაბრუნება უკვე იმ მოტივით, რომ ენახათ თუ როგორ დასრიალებდნენ გოგონები სცენაზე და როგორ დგებოდნენ ბიჭები ცერებზე, ანტერესებ-

დღეს ბატონ თენგიზ მექმა-რიპვილიზე მინდა მოგიხსროთ, პიროვნებაზე, რომელზედაც ამ წერილის სათაურით მიგანიშნეთ. მრავლისმომცველია მისი ბიო-გრაფია როგორც სამედიცინო სფეროში, ისე სპორტულ სარ-ბიელზე მოღვაწეობით. ამ ყოვე-ლივეს აღწერას გაზეთის ერთი ნომერიც ვერ დაიტევს, ამიტ-მაც მოკრძალებულად წარმო-გიდგინთ ფრაგმენტებს ბატონი თენგიზის 80 წლიანი ცხოვრები-დან:

გამოც იგი თამაშის გმირი, ჩვენ კი ჩემპიონები გახდით. სკოლის პერიოდის შემ-დეგ ჩვენი მეგობრობა სამედი-ცინო ინსტიტუტში, სამკურნა-ლო ფაკულტეტზე სწავლისას გაგრძელდა. აქაც ორივე აქტიუ-რად ჩავერთეთ კალათბურთში, წარმატებებს წარმატებები მოს-დევედა, რაშიც უდიდესი წვლილი ბატონი თენგიზისა და ჩემთან ერთად მიუძღვით რ. სვანიშ-ვილს, გ. დოლიძეს, ბ. გუგუციძეს, კ. მანჯგალაძეს, ვ. ნატრიაშვილს, გ. ქუთათელაძეს, ლ. ქებაძეს, გ. გიგინეიშვილს (მწვრთ. ბ. სარქ-ისოვი), რისი დასტურიცაა რო-გორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მრავალგზის ჩემპიონობა, მოსკოვის სპარტა-კიდაზე ნაკრებში მოხვედრა, სსრკ-ს ჯანდაცვის სამინის-ტროსგან მიღებული სიგელები და ფასიანი საჩუქრები. მგონია, რომ ჩვენ მიერ განვლილი გზა მედიცინასა და სპორტში კარგი მაგალითია სამედიცინო უნივერ-სიტეტის სტუდენტებისთვის.



ლის დამსახურებას საინტერესო ტრადიციების შექმნასა და პედა-გოგიურ-მეცნიერულ მოღვაწეო-ბაში.

ბატონი თენგიზი არის თვალ-საჩინო ექიმი კლინიკისტი, რა-შიც გარკვეული წვლილი მიუძ-ლოდა მამას, გრიგოლ მექმარი-აშვილს, ცნობილ პედიატრსა და კურორტი აბასთუმნის მთავარ ექიმს, რომელმაც თბილისში დაარსა ფიზიკულტურის საექიმო დისპანსერი და რომლის უცვ-ლელი დირექტორი იყო 47 წლის მანძილზე.

სამაგალითოა ბატონი თენ-გიზის დამოკიდებულება პაცი-ენტების მიმართ. ზუსტად დას-მული დიაგნოზისა და ადეკვა-ტური მკურნალობის გამო მის მიმართ პაციენტები უდიდეს სიყვარულსა და მადლიერებას გამოხატავდნენ.

აღსანიშნავია ბატონი თენ-გიზის მეტად ნაყოფიერი მუშაო-ბის ჩატარება ქ. თბილისის №1 და №7 საავადმყოფოების თერა-პიულ განყოფილებებში. ამასთან-სავე, აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში. მრავალგზის აქვს მონაწილეობა მიღებული საკავშირო დონის სიმპოზიუმებში, სადაც თვითონ იყო ორგანიზატორი. მან ანგო-ლის რესპუბლიკაში ჩამოაყალიბა სტაციონალური და ამბულატორიული სამსახური, რის გამოც საკავშირო მთავრობისგან მად-ლობა დაიმსახურა.

ბატონ თენგიზს გამოქვეყნე-ული აქვს 83 სამეცნიერო ნაშრო-მი გულსისხლძარღვთა სისტემის, სასუნთქი ორგანოების და ალერ-გიული დაავადებების ეთიოპა-თოგენეზის, დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პროფილაქ-ტიკის საკითხებზე; კლინიკური ფარმაკოლოგიის პრობლემებზე.

1995 წელს ბატონი თენგიზი აირჩიეს საქართველოს ჰუმანი-ტარული და სახელოვნებო მეც-ნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ამოწურავად შეიძლება ისაუ-ბრო მის ღვაწლზე, მაგრამ ახლა რამდენიმე შტრიხით შევეხები ბატონი თენგიზის პიროვნულ თვისებებს: მებრძოლი სულის მქონე, მაძიებელი, პუნქტუა-ლური, მეგობრული, უშუალო, თავმდაბალი, შესაშური ოჯახის პატრონი. მისი მეუღლე, ც. ან-თელავა, ჩვენი ქვეყნის გამოჩე-ნილი ქირურგის, ანგანსვენე-ული აკადემიკოსი ნ. ანთელავას ქალიშვილია; შვილები – ჯუან-შერი და ნინო – სამაყო ოჯახის სახელოვანი წარმომადგენლები არიან.

გილოცავთ, ბატონო თენ-გიზ, 80 წლის იუბილეს! დიდხანს იცოცხლეთ! თქვენ კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეე-ძლიათ...

ვაჟა გვანცელაძე,

თსუ-ის რექტორთა საბჭოს წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჰუმანი-ტარული და სახელოვნებო მეც-ნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი



ნოვანი თარიღი, ათასობით მაყ-ურებლის წინაშე, საზეიმო ვითა-რებაში მიულოცეს ბელგიელებ-მა. ბრიუსელის დათვალერების შემდეგ კი, 22 აგვისტოდან 28 აგვისტოს ჩათვლით, ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საფრანგე-თის ქალაქ ჰავუნაუში გამარ-თულ კონცერტებში. აღსანიშნა-ვია, რომ ამ ქალაქში კონცერტე-ბი იმართებოდა, როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე, თეატრებში. თეატრში ქართულმა ანსამბლმა გამართა რამდენიმე სოლო კონ-ცერტი.

დათ რა, არსებობდა თუ არა რაიმე სპეციალური მექანიზმი ამ ილეთების და მოძრაობების შესასრულებლად. საფრანგეთში ანსამბლის წევრებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს პარიზი და სტრასბურგი, 29 აგვისტოს კი, შვეიცარიის ქალაქ ბაზელიდან ახალი წარმატებებით ფრთა-შესხმულნი სამშობლოში და-ბრუნდნენ.

ისევ საქმის სიყვარული და თავდადება, ისევ მოუღლეელი მუშაობა მოუწევთ ანსამბლის ხელმძღვანელს, ქორეოგრაფე-ბს და სოლისტებს, რადგანაც იმ დიდ ნდობას, რაც მათ მშო-ბლიორმა უნივერსიტეტმა გა-მომოცხადა, მხოლოდ შრომით და ახალი შემოქმედებითი წარმა-ტებებისკენ სწრაფვით გაამარ-თლებენ.

მომზადდა დარეჯან კომლაძემ

დაიბადა 1931 წლის 5 აგვის-ტოს დაბა კოჯორში; 1949 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. თბილისის №1 ვაჟთა საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაირ-იცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამ-კურნალო ფაკულტეტზე, რო-მელიც დაამთავრა 1955 წელს; 1955-57 წლებში მუშაობდა ქ. თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში ექიმ-ორდინატორად; 1957-58 წლებში მოღვაწეობდა ექიმთა დახელოვნების ინსტი-ტუტში, თერაპიის კათედრაზე, უფროს ლაბორანტად, ხოლო 1958-61 წლებში ამავე კათედრის ასისტენტად; 1961 დაიცვა საკან-დიდატო დისერტაცია და მიენი-ჭა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი; 1961-72 წლებში საქმიანობას აგრძელებს საქართველოს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეც-ნიერო კვლევით ინსტიტუტში ჯერ მეცნიერ-მუშაკად, შემდეგ – სწავლულ მდივნად, 1962 წლი-დან კი, აქვე, ვექტოროკარდიო-გრაფიის განყოფილების ხელმძ-ღვანელად; 1971 წლიდან მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის ნოდე-ბა; 1972 წელს აირჩიეს თბილი-სის სახელმწიფო სამედიცინო ინ-სტიტუტის პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის დოცენ-ტად; 1993 წლიდან აირჩიეს ამავე კათედრის ხელმძღვანელად, რომელსაც ასრულებდა 2003 წლამდე; 1994 წელს მას მიენიჭა პროფესორის ნოდება; 2003-2008 წლებში იგი თბილისის სახელმ-წიფო სამედიცინო უნივერსიტე-ტის პროფესორია.

ბატონმა თენგიზმა თავისი ცოდნა და გამოცდილება, თუ არ ჩათვლით მის ერთნიან მოღვაწეობას ანგოლის სახალხო რესპუბლიკასა და ხანგრძლივ მივლინებებს მოსკოვსა და ლენ-ინგრადში, ძირითადად საკუთარ ქვეყანასა და ხალხს მოახმარა.

მის ბიოგრაფიაში საინტერე-სოა სპორტული მოღვაწეობა. სახელი და დიდება ჯერ კრივმა მოუტანა, იყო საქართველოსა და სსრკ ჩემპიონი ჭაბუკთა შორის სპორტის ამ სახეობაში, შემდეგ კი კალათბურთში.

ბატონი თენგიზი ჩემი სიყრ-მის მეგობარია. განსაკუთრებით ჩვენ ერთმანეთს კალათბურთმა მიგვაჯაჭვა. ორივე ერთად ვეზი-არეთ სპორტს ჭაბუკობის პერი-ოდში და ახალგაზრდობაში ორივე ერთად გავხდით წარმატებული კალათბურთელები. ხაზი მინდა გავუსვა 1948 წელს ქ. ოდესაში გამართულ საკავშირო ჩემპიონა-ტზე კალათბურთში ჩვენს გადამ-წყვეტ თამაშს კაუნასის ჭაბუკთა ნაკრებ გუნდთან. სწორედ თენ-გიზის სისწრაფემ, სიტუაციის მიმართ ადლომ და ბრძოლისუ-ნარიანობამ განაპირობა ჩვენი გამარჯვება; კაუნასელებმა ვერ შეძლეს თენგიზის შეჩერება, რის

გამოც იგი თამაშის გმირი, ჩვენ კი ჩემპიონები გახდით. სკოლის პერიოდის შემ-დეგ ჩვენი მეგობრობა სამედი-ცინო ინსტიტუტში, სამკურნა-ლო ფაკულტეტზე სწავლისას გაგრძელდა. აქაც ორივე აქტიუ-რად ჩავერთეთ კალათბურთში, წარმატებებს წარმატებები მოს-დევედა, რაშიც უდიდესი წვლილი ბატონი თენგიზისა და ჩემთან ერთად მიუძღვით რ. სვანიშ-ვილს, გ. დოლიძეს, ბ. გუგუციძეს, კ. მანჯგალაძეს, ვ. ნატრიაშვილს, გ. ქუთათელაძეს, ლ. ქებაძეს, გ. გიგინეიშვილს (მწვრთ. ბ. სარქ-ისოვი), რისი დასტურიცაა რო-გორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ მრავალგზის ჩემპიონობა, მოსკოვის სპარტა-კიდაზე ნაკრებში მოხვედრა, სსრკ-ს ჯანდაცვის სამინის-ტროსგან მიღებული სიგელები და ფასიანი საჩუქრები. მგონია, რომ ჩვენ მიერ განვლილი გზა მედიცინასა და სპორტში კარგი მაგალითია სამედიცინო უნივერ-სიტეტის სტუდენტებისთვის.

ბატონმა თენგიზმა, კალათ-ბურთში მრავალგზის ჩემპიონად აღიარებულმა, ადრეულ ასაკში, 21 წლისამ, დატოვა სპორტი და ინტენსიურად შეუდგა სამედიცი-ნო მეცნიერების შესწავლას. მოსკოვისა და ლენინგრად-ლის წამყვან კარდიოლოგიურ კლინიკებში ხანგრძლივი მივ-ლინება მისთვის მეტად წარმატე-ბული აღმოჩნდა. მან შეისწავლა ელექტროკარდიოგრაფია სხ-ვადასხვა ორთოგონალური გან-ხრით, ვექტოროელექტროკარ-დიოგრაფია ახალდანერგილი სისტემით, ბალისტოკარდიოგრა-ფია, რენტგენოკომპოგრაფია და სხვა, რამაც მისცა საშუალება ნაადრევად და ზუსტად დაედგ-ინა გულსისხლძარღვთა სისტე-მების დაავადებების სხვადასხვა ფორმა, რაც სრულიად ახალი სიტყვა იყო კარდიოლოგიაში. მივლინებებიდან სამშობლოში და-ბრუნებული განსაკუთრებით ინ-ტერესდება ვექტოროელექტრო-კარდიოგრაფიის მნიშვნელობის დადგენით გულის იშემიური და-ვადების დროს, რის შესახებაც ჩაატარა მრავალი საინტერესო ექსპერიმენტი მაიმუნებსა და ძაღლებზე, რის გამოც დიდი შეფასება დაიმსახურა წამყვანი სპეციალისტებისაგან.

ამის შემდეგ იგი კვლავ უბრუნდე-ბა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სახელმწიფო სამედი-ცინო ინსტიტუტში. 1972 წლიდან მოყოლებული ბატონი თენგიზი იყო პედიატრიული, სანჰიგი-ენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტების ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის დოცენტი, ხელმძღვანელი და ბოლოს, 2003 წლიდან, პენსიაზე გასვლამდე, კათედრის პროფესორი. სწორედ, კათედრაზე ყოფნის პერიოდში გამოვლინდა მისი წარმატებუ-ლი პედაგოგიური, სამეცნიერო და სამკურნალო მოღვაწეობა. მისი ლექციები და პრაქტიკუ-ლი მეცადინეობები ყოველთვის გამოირჩეოდა სიახლით თერაპი-ის აქტუალურ საკითხებზე, რაც სტუდენტების დიდ დაინტერესე-ბას იწვევდა. ასევე, მეტად მთ-ამბეჭდავი იყო ბატონი თენგიზის მუშაობა სუბორდინატორებთან და ინტერნებთან.

ბატონი თენგიზი სიამაყის გრძობით იხსენებს თავისი კათ-ედრის ყოფილი გამგებების, პრო-ფესორების: გ. დიდებულის, ი. ჯავახიშვილის, ვ. გერსამიას, ს. კობლაძის და ბ. რაჭველიშვი-



ვლადიმერ ასათიანი 110 წლისაა და მისი მემორიალი

უთვალსაჩინოესი მეცნიერი, ბრძენი წინამძღვარი



110 წელი შესრულდა სახელმწიფო ბიოქიმიკოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, პროფესორ ვლადიმერ ასათიანის დაბადებიდან.

სამეცნიერო და სამედიცინო საზოგადოება უდიდეს პატივს მიაგებს საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერის, საქართველოში არაერთი მნიშვნელოვანი მეცნიერული მიმართულების ფუძემდებლის, უბადლო პიროვნების აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის ნათელ ხსოვნას.

ვლადიმერ სამსონის ძე ასათიანი 1901 წლის 10 სექტემბერს ქ. ფერგანაში (უზბეკეთი) სამხედრო ინჟინრის ოჯახში დაიბადა. 1918 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის ვაჟთა გიმნაზია, 1923 წელს კი ქალაქ პერუჯის (იტალია) სამედიცინო უმაღლესი ექსპერიმენტული აგრონომიის ინსტიტუტის აგროქიმიის განყოფილება. სწავლაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებების ნიშნად ვლადიმერ ასათიანის სახელი და გვარი ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული პერუჯის ინსტიტუტის საპატიო მემორიალურ დაფაზე.

1923-1925 წლებში ვლადიმერ ასათიანი მოღვაწეობდა და სპეციალიზაციას გადიოდა სტრასბურგის, პარიზის, ბერლინის უნივერსიტეტებში ორგანული ქიმიის, ბიოქიმიის და ფიზიოლოგიის დარგებში. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მეცნიერი ლექციებს კითხულობდა მა-

დრიდის, პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტებში მსმენელთა მშობლიურ ენებზე. 1924 წელს იგი საფრანგეთის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების წევრთა პირველ შემადგენლობაში იქნა არჩეული.

1924 წელს პეტრე მელიქიშვილის წარდგინებით ვლადიმერ ასათიანი დაუსწრებლად აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული და ფიზიოლოგიური ქიმიის კათედრის ასისტენტად, მოვალეობის შესრულებას კი 1925 წლის დეკემბერში შეუდგა, შემდეგ ამავე კათედრის გამგე გახდა.

უცხოეთიდან ბატონი ვლადიმერი უკვე სახელმწიფოეჭილი, ღრმად განსწავლული მეცნიერი დაბრუნდა და თავისი ცოდნა და გამოცდილება საქართველოში ბიოქიმიური მეცნიერების გაძლიერებას, სპეციალისტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას მოახმარა.

სამედიცინო ინსტიტუტის ჩამოყალიბებიდან ვლადიმერ ასათიანი ორგანული და ბიოქიმიის კათედრის პროფესორი, ხოლო 1948 წლიდან, სიცოცხლის ბოლომდე, ორგანული და სასამართლო ქიმიის კათედრის გამგე გახლდათ.

მრავალმხრივი იყო ვლადიმერ ასათიანის მეცნიერული და სამეცნიერო-ორგანიზაციული მოღვაწეობა. მან საქართველოში საფუძველი ჩაუყარა სამედიცინო ბიოქიმიურ სამსახურს: კარდიოლოგიის, ტუბერკულოზის, ფარმაკოქიმიის, სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტებში დააარსა ბიოქიმიური ლაბორატორიები და განსაზღვრა მათი მეცნიერული მიმართულებები. ბატონი ვლადიმერი საკავშირო ჩანისა და სუბტროპიკული კულტურების ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების დაარსების ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო, სადაც იგი 1931 წელს დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე

მუშაობდა, ბიოქიმიის ლაბორატორიას და ქიმიის კათედრას ხელმძღვანელობდა.

დიდა ვლადიმერ ასათიანის ღვაწლი საქართველოში ფტიზიატრიის განვითარების საქმეში. 1937-1939 წლებში იყო ტუბერკულოზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და ბიოქიმიის განყოფილების ხელმძღვანელი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში დაარსებიდან (1932 წ.) ბატონი ვლადიმერი მოღვაწეობდა ბიოქიმიის განყოფილების გამგედ, 1949-1963 წლებში – დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1964 წლიდან გარდაცვალებამდე – ინსტიტუტის დირექტორია. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა ქიმიის განვითარებისა და სამკურნალო პრეპარატების შექმნის დარგში.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი ყოფილ საბჭოთა კავშირში მთის კლიმატის ბიოქიმიის და ტუბერკულოზის პათოქიმიის დამაარსებლად ითვლებოდა. იგი ბიოქიმიური ფარმაკოლოგიისა და სამედიცინო ფერმენტოლოგიის ფუძემდებელია საქართველოში. მის ლაბორატორიებში პირველად დადგინდა ზომიერი მთის კლიმატის პირობებში ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის თავისებურებანი, ჟანგვა-აღდგენის, ცილოვანი ნივთიერებათა, ნახშირწყლების, ვიტამინების, ფერმენტების, ჰორმონების ცვლის რეგულაციის ურთიერთდაზოკიდებულება. ვლადიმერ ასათიანმა შექმნა ტუბერკულოზის პათოგენეზის კლიმატოთერაპიის საფუძველები; შეიმუშავა ფიზიკური დატვირთვისა და პათოლოგიის დროს სამკურნალო საშუალებათა გამოყენების რეკომენდაციები; საორტოსმენტო ნერვისა და რაციონალური კვების რეჟიმის ნორმატივები.

პროფესორ ვლადიმერ ასათიანის გამოკვლევებმა ბიოქიმიურ ფარმაკოლოგიაში შესაძლებელი გახადა სამკურნალო საშუალებების მოქმედების ნატურული მექანიზმების ახსნა, ადამიანისა და პრიმატის ორგანიზმების ბიოქიმიური თავისებურებების შეფასება. მისი მონოგრაფიაში – „ადამიანისა და მაიმუნის შედარებითი ბიოქიმიკა“ – პირველ მეცნიერულ კვლევას ამ დარგში ფართო გამოხმაურება მოჰყვა და მონოგრაფია აშშ-ში გამოიცა.

პროფესორ ვლადიმერ ასათიანის ერთ-ერთ ძირითად მეცნიერულ მიმართულებას ანალიზური ბიოქიმიკა წარმოადგენდა.

ამ დარგს მიუძღვნა მან მრავალი ფუნდამენტური მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რამაც მეცნიერს კიდევ ერთი საყოველთაო აღიარება მოუპოვა. „ბიოქიმიური ანალიზი“ (რამდენიმე ტომი), „ბიოქიმიური ფოტომეტრია“, „ანალიზის ფერმენტული მეთოდები“, „ბიოლოგიური ცხრილები“, „ბიოლოგიური მასალის ფერმენტული ანალიზი“ და სხვა ბიოქიმიკოსთა სამაგიდო წიგნებად იქცა.

ბატონი ვლადიმერი 180-ზე მეტი სამეცნიერო შრომის, მათ შორის 38 მონოგრაფიის ავტორია.

იშვიათი ტალანტის, ენციკლოპედიური განათლების მქონე მეცნიერი, სწორუბოვარი ლექტორი, საუცხოო პედაგოგი და ახალგაზრდების ბრწყინვალე აღმზრდელი - ბრძენი წინამძღვარი ბრძანდებოდა. მის შთამბეჭდავ ლექციებზე, მონოგრაფიებზე, სახელმძღვანელოებზე ექიმთა, პროფიზორთა, ბიოლოგთა თაობები აღიზარდნენ. ვ. ასათიანის ხელმძღვანელობით მეცნიერთა 80 დოქტორი და კანდიდატი მომზადდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (ლუნი-გრადში, მინსკში, ბაქოში, ოდესაში, ტაშკენტში).

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი მეცნიერების შესანიშნავი პოპულიზატორი გახლდათ. მისმა მეცნიერულ-პოპულარულმა წიგნებმა: „ჩვენი ორგანიზმის ქიმიკა“, „ნივთიერებათა ცვლის მექანიზმები“, „სიცოცხლის ქიმიური საფუძველები“, „ბიოლოგიური კატალიზატორები“, „კოსმოსური მიკრობიოლოგია“ და სხვა არაერთხელ მოიპოვა ჯილდო მეცნიერულ-პოპულარული წიგნების საკავშირო კონკურსებზე.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანის ბრწყინვალე მეცნიერულ-პოპულარული ლექცია-მოხსენებები ღრმად ცოდნის, ორატორული ხელოვნების და მჭევრმეტყველების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდა და ფართო საზოგადოების უდიდეს ინტერესს იწვევდა.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი და მისი თავმჯდომარე, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ფარ-

მაკოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ბრძანდებოდა. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის და დიდი სამედიცინო ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი, მრავალი საერთაშორისო ბიოქიმიური სამეცნიერო ფორუმების ორგანიზატორი და აქტიური მონაწილე იყო.

აკადემიკოსი ვლადიმერ ასათიანი უთვალსაჩინოესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, უდიდესი ერუდიტის, ფართო დიაპაზონის მქონე, უკეთილშობილესი პიროვნება, არაჩვეულობრივი მომხიბვლელობით, საოცარი გულისხმიერებით და დიდებული უბრალოებით ხასიათდებოდა. იგი სრულიად განსხვავებული, ვლადიმერასათიანისეული მზრუნველობით და სითბოთი ეპყრობოდა ირგვლივ მყოფთ, ზრდიდა ახალგაზრდობას. უსახ-



ახლობლები და მონაწევრები ვლადიმერ ასათიანის საფლავთან (მარცხნიდან პირველი – შვილიშვილი ქეთევან ასათიანი)

ღვრო იყო მისი სულისა და გონების სიუხვე.


ბატონი ვლადიმერი 1972 წლის 9 მარტს მოულოდნელად გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო-სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე თავისი მოწაფის დისერტაციის დაცვის დროს.

თითქმის ორმოცი წელი გავიდა აკადემიკოს ვლადიმერ ასათიანის გარდაცვალებიდან, მაგრამ მისი ადგილი არ გაათავისუფლებულა. ვლადიმერ ასათიანმა, განუუმეორებელმა ქართველმა ინტელიგენტმა, სასიქადულო მამულიშვილმა, დიდმა მეცნიერმა, მოაზროვნემ, წარუშლელი კვალი დატოვა საზოგადოებაში და სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

ეთერ ქემერტელიძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

სპორტი

გამარჯვებით გავლოთ!



ა. წ. 1-9 ოქტომბერს, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით, ჩატარდა სტუდენტური ლიგა კალათბურთში. სულ მონაწილეობდა 7 უმაღლესი სასწავლებლის

კალათბურთელთა გუნდები. დასკვნით სერიაში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრისას, გამარჯვება ნილად ხვდა ჩვენი უნივერსიტეტის გუნდს, რომელმაც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შემდეგ დაიკავა საპატიო III ადგილი.

29 ოქტომბერს თბილისის სპორტის სასახლეში თსსუ-ის საკალათბურთო გუნდმა „თსსუ“ მორიგი შეხვედრა ჩაატარა გუნდთან „ბათუმი“. დაძაბული თამაში ჩვენი უნივერსიტეტის გუნდის აშკარა უპირატესობით წარიმართა და საბოლოო გამარჯვებაც მან მოიპოვა ანგარიშით: 85:67.

ვულოცავთ ჩვენს კალათბურთელებს გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებას მომავალში.

სამაქიპარი

თსსუ-ის ადმინისტრაცია, სამედიცინო ბიოლოგიის და პარაზიტოლოგიის, მოლეკულური და სამედიცინო გენეტიკის დეპარტამენტები, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ დეპარტამენტის თანამშრომლის,

გულიანა შენგელიანი

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, ბიოქიმიის დეპარტამენტი, „სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორს, ბატონ ლექსო ბოლქვაძეს, შვილის

ზაზა პოლქვაძის

გარდაცვალების გამო.